სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81034972608717

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170744162

რეგისტრაციის თარიღი

03.07.2017 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

, ნოტარიუს **ირმა შარვაძეს** (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #42) სს საქართველოს ბანკის თავო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, მომმართა დავით წიკლაურმა, რომელმაც განაცხადა, რომ რის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის კახაბერ კიკნაველიძის მიერ 03.07.2017 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N170740276 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **დავით წიკლაურმა** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **თეონა ბერიას** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **დავით წიკლაურის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **დავით წიკლაურმა** (დაბადებული 01.09.1981 წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01015008548, მცხოვრები თბილისი ს. წავკისი, ვ. აბაშიძის ქ. N 4) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **დავით წიკლაურმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება

მე, სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე **დავით წიკლაური** (შემდგომში - მარწმუნებელი), **თეონა ბერიას** (დაბადებული 14.11.1989 წ. ქ. სოხუმში, პირადი ნომერი: 62001038236) (შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებს უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, ხელი მოაწეროს):
1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები) 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;
1.2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
1.3. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
1.4. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2 და 1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს ან/და შეწყვეტის ცვლილებისა) შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი.
2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ან/და სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში), ან/და კერძო დაწესებულებებში/ორგანიზაციებში წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს.
3. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.
4. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით, საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო სამი გადაეცა მარწმუნებელს.

დილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40
ი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის
გენილების (29.12.2011წ. #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა
ატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების
ახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

დავით წიკლაური

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე